

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების  
მასწავლებლის ეთიკის კოდექსი  
(სამუშაო ვერსია)**

**პროფესიული კომპეტენტურობა**

1. მასწავლებელი, პროფესიული ვალდებულების შესრულებისას, დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია.
2. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ეთიკის კოდექსის ნორმებით.
3. მასწავლებელი ხელს უწყობს სტუდენტებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების განვითარებას.
4. მასწავლებელი, თავისი პროფესიული საქმიანობისას, სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს აძლევს სტუდენტებს.
5. მასწავლებელი იცავს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. მასწავლებელი, თავისი საქმიანობისას, ყოველთვის პუნქტუალურია და აცვია მოწესრიგებულად.
7. მასწავლებელი მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და სტუდენტებისათვის გასაგები ენით.
8. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს სასწავლო-საწარმოო საქმიანობისთვის განკუთვნილ დროს, პროფესიული სტანდარტების მიხედვით წარმოედგინილი სასწავლო მიზნების მისაღწევად.
9. მასწავლებელი უფრთხილდება პროფესიული სასწავლებლის ქონებას და მიზანმიმართულად იყენებს სასწავლო-საწარმოო რესურსებს.
10. მასწავლებელი არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის.
11. მასწავლებელი ზრუნავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

**სტუდენტებთან ურთიერთობა**

1. მასწავლებელი ითავსებს სტუდენტის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო-საწარმოო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად და სტუდენტის სურვილის შემთხვევაში ეხმარება მას პირადი პრობლემის მოგვარებაში.
2. მასწავლებელი არ აყენებს სტუდენტს რაიმე სახის შეურაცხყოფას.
3. მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს სტუდენტთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.
4. მასწავლებელი, სასწავლო-საწარმოო პროცესის განმავლობაში, ზრუნავს სტუდენტის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოების დაცვაზე.
5. მასწავლებელი მაგალითს აძლევს და ეხმარება სტუდენტებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

6. მასწავლებელი, სტუდენტებთან ურთიერთობის დროს, იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.
7. მასწავლებელი პატივს სცემს სტუდენტთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.
8. მასწავლებელი არ ეწევა სტუდენტებთან რელიგიურ (გარდა იმ სასწავლებლების მასწავლებლებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას.
9. მასწავლებელი არ იყენებს სტუდენტის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის.
10. მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა სტუდენტის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

#### **მშობლებთან ურთიერთობა**

1. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში, აწყობს მასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს.
2. მასწავლებელი ატყობინებს მშობელს სტუდენტის დისციპლინური დარღვევის შესახებ და ხელს უწყობს მის ჩართვას სასწავლებლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ წარმოებაში.

#### **სასწავლებლის დირექციასთან, მასწავლებლებსა და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობა**

1. მასწავლებელი თანაბარი პატივისცემით ეპყრობა პროფესიული სასწავლებლის დირექციას, მასწავლებლებსა და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა.
2. მასწავლებელი უზიარებს შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს და თანამშრომლობს მათთან.
3. მასწავლებელი თანამშრომლობს პროფესიული სასწავლებლის დირექციასთან და თავისი წვლილი შეაქვს სასწავლებლის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.